აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ოქმი №17

აბაშა, 2022 წლის 25 ნოემბერი

სარჩევი

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ოქმი №17

აბაშა, 2022 წლის 25 ნოემბერი

1. ,,აბაშის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტის შენიშვნებით აბაშის მუნიციპალიტეტის მერისათვის დაბრუნების თაობაზე.

მომხს. დ. ცანავა

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

აპარატის უფროსი: გ. ხურცილავა

ოქმი №17

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომისა

აბაშა, 2022 წლის 25 ნოემბერი

სხდომას ესწრებოდნენ: გელა ხოშტარია, კონსტანტინე კუჭუხიძე, როინი კაჭარავა, დარეჯან ვადაჭკორია, პროკოფი ნიკურაძე, ზეზვა მაკალათია, ტატიანა ხოშტარია, დავით ცანავა, დიმიტრი ვერულაშვილი, დავით გუნია, ბაქარი შელია, ზაზა ალასანია, მურთაზ ჯალაღონია, იაგო თოდუა, გია კუცია, გია მიგინეიშვილი, ქეთევან ლობჟანიძე, ფიქრია გვაზავა, გელა ლაბარტყავა, ბაჩუკი ქვილითაია, კოკი ჩაჩავა და მეგული ჩოჩია.

საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – საკრებულოს აპარატის უფროსი გ. ხურცილავა და საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსი ნ. კუპრეიშვილი.

დღის წესრიგი:

1. ,,აბაშის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტის შენიშვნებით აბაშის მუნიციპალიტეტის მერისათვის დაბრუნების თაობაზე.

მომხს. დ. ცანავა

კენჭი ეყარა დღის წესრიგს. კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი.

მომხრე 22
წინააღმდეგი 0

მოისმინეს:

,,აბაშის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტის შენიშვნებით აბაშის მუნიციპალიტეტის მერისათვის დაბრუნების თაობაზე.

მომხს. დ. ცანავა

მომხსენებელმა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე დ. ცანავამ სხდომის მონაწილეებს გააცნო ,,აბაშის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტი. ასევე აღნიშნა, რომ საკრებულოს კომისიებმა და ფრაქციამ ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო" განიხილეს ბიუჯეტის პროექტი და გამოთქმულ შენიშვნებთან დაკავშირებით წარადგინეს შესაბამისი დასკვნები.

სხდომაზე კომისიის თავმჯდომარეებმა ტ. ხოშტარიამ, კ. კუჭუხიძემ, გ. კუციამ, გ. მიგინეიშვილმა და ფრაქციის თავმჯდომარე რ. კაჭარავამ წარმოადგინეს აბაშის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის ირგვლივ არსებული შენიშვნები.
აზრი გამოთქვეს: გ. ხოშტარიამ, ფ. გვაზავამ, გ. ლაბარტყავამ და კ. ჩაჩავამ.
კენჭი ეყარა ,,აბაშის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტის შენიშვნებით აბაშის მუნიციპალიტეტის მერისათვის დაბრუნების საკითხს.
კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი. აღნიშნულს მხარი დაუჭირა საკრებულოს 21- მა წევრმა.
წინააღმდეგი: 0
ოქმს თან ერთვის საკრებულოს კომისიების და ფრაქციის დასკვნები.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი: გ. ხოშტარია